KA030167081084519

№ 01-13146 **24 / დეკემბერი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს
ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის თამარ
გაბუნიას

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ეკატერინე,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტროს 2015 წლის 6 იანვრის N01-1/ნ ბრძანების შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის პოლიტიკის სამმართველოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენა საინვესტიციო, ინფრასტრუქტურული და სხვა მსგავსი პროექტების ანალიზი და კოორდინაცია.

საინვესტიციო და ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით სამუშაოები ძირითადად შემდეგი მიმართულებით ხორციელდებოდა:

- საერთაშორისო საინვესტიციო შემოთავაზებების ექსპერტიზა და გადაწყვეტილების მიღების კოორდინაცია;
- ნასყიდობის ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურება (ინფორმაციის მოძიება ხდება სოციალური მომსახურების სააგენტოდან - სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის თაობაზე; სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოდან - დაწესებულების მიერ სამედიცინო საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტების ფლობის შესახებ; საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრიდან - ინფრასტრუქტურის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ);
- სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში სამედიცინო რაიონების მიხედვით სადაზღვევო ვაუჩერის ფასის დადგენის, მზღვეველი კომპანიის გამოვლენისა და კონკურსის შედეგად გამოვლენილი მზღვეველის ან ამხანაგობის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების და ასევე, პროგრამის ზედამხედველობის მიზნით შექმნილი უწყვებათაშორისი კომისიის სხდომისთვის საჭირო მასალების მომზადება სამედიცინო დაწესებულებათა პრივატიზების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე, რომლის სამდივნოსაც სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო წარმოადგენს;
- ამბულატორიების აშენების/რეაბილიტაციის მიზნით, სხვადასხვა მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში მდებარე ქონებების განკარგვაზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მასალების მომზადება;
- სახელმწიფო სახსრებით (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს პროგრამა და სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამა) სოფლის ამბულატორიებისა და საავადმყოფოების აშენება-აღჭურვისათვის მასალების მომზადება და სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სხვადასხვა დაწესებულებების წმინდა მოგების განაწილების შესახებ სამინისტროს პოზიციის დაფიქსირება.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მსხვილი საერთაშორისო საინვესტიციო შემოთავაზებების ექსპერტიზა და გადაწყვეტილების მიღების კოორდინაცია წარმოადგენს პოლიტიკის დეპარტამენტის ფუნქციას.

რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის, თუ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებით, სოფლის ამბულატორიების აშენება/ რეაბილიტაციისა და აღჭურვისთვის მასალების მომზადება, სამინისტროს, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და სხვადასხვა დაწესებულებებს შორის ხელშეკრულების გაფორმების მოსამზადებელი სამუშაოები, ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების დადასტურება და სხვა მსგავსი საკითხები უკვე სცილდება პოლიტიკის დეპარტამენტის ფუნქციას და უპრიანია ადმინისტრაციის დეპარტამენტის ფუნქციებში იყოს ინტეგრირებული. აღნიშნული მოსაზრების საფუძველს წამოადგენს ადმინისტრაციის დეპარტამენტის საქმიანობის მიმართულება, იგი ახდენს სამედიცინო დაწესებულებატა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის

მართვას, შემდგომში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული დაწესებულებების კაპიტალში ცვლილებების განხილვა, მოგების განაწილებაზე მოსაზრებების მოძიება ასევე მათი პრეროგატივაა.

გთხოვთ, თქვენს გადაწვეტილებას, ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით ფუნქციების ადმინისტრაციულ დეპარტამენტში ინტეგრირების თაობაზე. თქვენი თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურებს საჭირო პროცედურების განხორციელება.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის პირველი მოადგილე

თამარ გაბუნია